

## ბრძანება

24 ოქტომბერი 2017 წ.

თბილისი

№ 715/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 17 ოქტომბრის №906 ბრძანების გათვალისწინებით,

### ვ ბ რ ძ ნ ა ნ ბ :

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. ჰელირია დომინგოს ტამელე- მოზამბიკის რესპუბლიკის მოქალაქე;
2. ჩარლზ ოლივერ კოკ- ბელიზის მოქალაქე.

II. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2017 წლის 01 დეკემბრამდე.

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს და თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურას.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს დ. დელიბაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე  
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი